# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №50
## 2018 წლის 11 ივლისი

## ქ. ამბროლაური

**„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №38 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 05/01/2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016363) დამტკიცებულ დანართში:

ა) ამოღებულ იქნეს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი;

ბ) ამოღებული იქნეს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

გ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის მოსარგებლეები არიან ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომელთაც ჩატარებული აქვთ კვლევა „C“ ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით, სწრაფი/მარტივი ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული აქვთ დადებითი პასუხი (წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე), საჭიროებენ მკურნალობაში ჩართვამდე და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** — **ასლან საგანელიძე**